ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2947875

ნომერი: AR1456269

თარიღი : 14.11.2016

გაცემის თარიღი : 16.11.2016

გაცნობის თარიღი : 16.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორ პაპაშვილი პ/ნ 01008007463
- თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 18 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს " ჭავჭავაძის 64ა" კოდი: 404890908

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

# ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14/11/2016წ. №AR1456269 განაცხადით მომართეს ანზორ პაპაშვილმა და ლუარა ალშიბაიამ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №64 / ი. ჭავჭავაძის გამზირი №66–ს მიმდებარედ, (ნაკვ.№2/14) / ი. ჭავჭავაძის გამზირი, №66–ს მიმდებარედ (ნაკვ.№2/18) / ი. ჭაჭავაძის გამზირი №66–ს მიმდებარედ (ნაკვ.№2/19) / ჭავჭავაძის გამზირი, №66, (ნაკვ.№2/24)/ ჭავჭავაძის გამზირი, №66 (ნაკვ.№2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ბ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: №01.14.11.002.036) და ილო მოსაშვილის ქუჩა №3ა–ში მდებარე სს ,,თელასის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: №01.14.11.002.013) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის (,,ბ" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 აპრილიდან 2018 წლის 13 მაისის ჩათვლით. წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და წარმოდგენილია გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:10934.99, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:1549.03, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:666.02, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:354.77, კომერციული ფართობი (კვ.მ).: 482.25, აუზის ფართობი (კვ.მ).:63.57, საერთო ფართობი (კვ.მ).:17803.73. ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:3753.1 რჩება უცვლელი. სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრაძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:10934.99, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:1549.03, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:666.02, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:354.77, კომერციული ფართობი (კვ.მ).:482.25, აუზის ფართობი (კვ.მ).:63.57, საერთო ფართობი (კვ.მ).:17803.73. სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/04/2016 წლის №2540851 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.